

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 336

ქ. ბათუმი, 14 მაისი 2015 წ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ქონების ა(ა)იპ - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის
სააგენტო“-სათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ.“ „დ.გ.“ „დ.დ.“ ქვეპუნქტების და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კაპიტალში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №25 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 24 550,41 (ოცდაოთხი ათას ხუთას ორმოცდაათი ლარი და 41 თეთრი) ლარის საბალანსო ღირებულების 489 (ოთხას ოთხმოცდაცხრა) ცალი საგზაო ნიშანი.

2. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ქონების ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-სათვის საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის საქალაქო ინფრასტრუქტურის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ირაკლი გენძეხაძეს (პირადი ნომერი №61001027408).

3. წინამდებარე ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ზურაბ ბერიძეს.

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი